ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 191

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2011 წლის 19 ივლისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-35-25-825 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირების) განსაზღვრული პირობის (პირობების) შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 127²-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 22 ივნისის №24.32.533 განკარგულების შესაბამისად შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2011 წლის 19 ივლისს გამართულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №ე-35-25-825 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) განსაზღვრულ პირობებში და ოქმის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ზ)აუქციონის ჩატარებიდან 4 წლის ვადაში ერთსართულიანი შენობის მშენებლობის დასრულება, რესტორნის და საბანკეტო-საკონცერტო დარბაზის ფუნქციონირების დაწყება;".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი